IDFI
ინფორმაციის თავისუფლების
განვითარების ინსტიტუტი

საინფორმაციო ბიულეტენი

აგვისტო 2017

მოქალაქეთა ჩართულობის პრაქტიკის შეფასება ბათუმში, ქუთაისსა და ახალციხეში მუნიციპალიტეტებში

კვლევის ძირითად ამოცანა იყო ქალაქ ახალციხის, ბათუმის და ქუთაისის მუნიციპალიტეტების საქმიანობაში მოქალაქეთა მონაწილეობის არსებული პრაქტიკის შეფასება. დოკუმენტში წარმოდგენილია ქალაქ ქუთაისის, ქალაქ ახალციხისა და ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტებში სამოქალაქო ჩართულობის არსებული პრაქტიკის შეფასება, მოცემულია იმის ანალიზი, თუ როგორ ურთიერთობენ მოქალაქეები მუნიციპალურ ხელისუფლებასთან და აისახება თუ არა (და როგორ) მათი პოზიციები ადგილობრივი ხელისუფლების მოკლევადიან და გრძელვადიან პრიორიტეტებსა და ბიუჯეტში.

შეფასება ასევე ეხება მოქალაქეთა ჩართულობის საკანონმდებლო ბაზას და ელექტრონული დემოკრატიის ინსტრუმენტებს, რომლებიც ჩართულობისთვის ხელსაყრელ გარემოს ქმნიან. შეფასებისთვის გამოყენებულია ძირითადი პრინციპები შემდეგი დოკუმენტებიდან - 1. OECD-ის სახელმძღვანელო - ინფორმაცია, კონსულტაცია და საზოგადოებრივი ჩართულობა პოლიტიკის შემუშავების პროცესში; 2. შერი რ. ამსტაინის მოქალაქეთა ჩართულობა; და ადგილობრივ თვითმმართველობაში საზოგადოებრივი ჩართულობის სახელმძღვანელო.

იხილეთ მეტი

სასამართლომ შინაგან საქმეთა სამინისტროს გიორგი კლდიაშვილის შესახებ გავრცელებული ცილისმწამებლური ინფორმაციის უარყოფა დაავალა

სასამართლოს გადაწყვეტილების თანახმად, შსს ვალდებულია, მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში, საკუთარი ოფიციალური ვებ-გვერდის მეშვეობით უარყოს 2014 წლის 17 დეკემბერს გავრცელებული ცილისმწამებლური ინფორმაცია.

აღსანიშნავია, რომ სასამართლო პროცესზე არ გამოცხადდა მოპასუხე შსს-ს წარმომადგენელი. იქიდან გამომდინარე, რომ შსს-ს მიერ არ ყოფილა წარმოდგენილი განცხადება სხდომაზე დაუსწრებლობის საპატიო მიზეზების შესახებ სასამართლომ საქმეზე მიიღო დაუსწრებელი გადაწყვეტილება. აღნიშნული გასაჩივრებულ იქნა შსს-ს მიერ. მოცემულ საქმეზე ზეპირი სხდომა ჩანიშნულია 2017 წლის 10 ოქტომბერს, 12 საათზე. IDFI მომავალშიც აცნობებს საზოგადოებას საქმის მიმდინარეობის შესახებ.

[იხილეთ მეტი]

ღია და გამჭვირვალე მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოსა და საბჭოსთან არსებული საკონსულტაციო ჯგუფის შეხვედრა

თბილისში ღია და გამჭვირვალე მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოსა და საბჭოსთან არსებული საკონსულტაციო ჯგუფის შეხვედრა გაიმართა. შეხვედრის მიზანი „საქართველოს საპარლამენტო ღიაობის 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმით“ განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებისთვის ახალი ვადების განსაზღვრა და დამტკიცება იყო.

ამასთან, IDFI-მწარმოადგინა „საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების წესისა და საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ბრძანებაში შესატანი ცვლილებების პროექტი, რომელიც სამოქალაქო საზოგადოების და „გაეროს განვითარების პროგრამის“ (UNDP) წარმომადგენლებთან თანამშრომლობით იქნა შემუშავებული.

[იხილეთ მეტი]

არასამთავრობოები: პარლამენტის თავმჯდომარის განცხადება, შესაძლოა, საჯარო მოსამსახურეების მიერ აღქმული იყოს, როგორც ხელისუფლების მიმართ კრიტიკული აზრის გამოთქმის აკრძალვა

გვინდა გამოვეხმაუროთ 26 ივლისს, საქართველოს პარლამენტში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსზე“ პრეზიდენტის მოტივირებული შენიშვნების განხილვისას, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის, ირაკლი კობახიძის მიერ საქართველოს პრეზიდენტის საპარლამენტო მდივნის, ანა

დოლიძის მისამართით გამოთქმულ მითითებას საჯარო მოსამსახურეთა მიერ აზრის გამოხატვის შეზღუდვასთან დაკავშირებით.
[იხილეთ მეტი]

საჯარო დაწესებულებებში შრომის ანაზღაურების შესახებ ახალი კანონპროექტი ვერ პასუხობს

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს და სსიპ საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ წარმოდგენილი იყო ანაზღაურების შესახებ ახალი კანონის პროექტი. IDFI მიესალმება ახალი კანონპროექტის შემუშავებას, რომლის საშუალებითაც დაგეგმილია ისეთი მნიშვნელოვანი საკითხების მოწესრიგება, როგორიც არის პრემიების და დანამატების გაცემის შეზღუდვა.

პოზიტიური ცვლილებების მიუხედავად, IDFI მიიჩნევს, რომ ახალი კანონი სრულად ვერ ეხმიანება საჯარო დაწესებულებებში ანაზღაურებასთან დაკავშირებით წლების განმალობაში დაგროვილ გამოწვევებს და აუცილებელია მის პარლამენტში წარდგენამდე შეიცვალოს რამდენიმე აუცილებელი საკითხი.
[იხილეთ მეტი]

IDFI-ის საკანონმდებლო წინადადება - დაუშვებელი პროდუქციის რეგულირება ინტერნეტში

კვლევის მიზანია „დაუშვებელი პროდუქციის" ცნების განხილვა და იმის გარკვევა, თუ რამდენად პასუხობს მისი თითოეული საფუძველი გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის კონსტიტუციურ და საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებს.

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის დადგენილებით განსაზღვრული „დაუშვებელი პროდუქციის ცნების" კომპონენტები ვერ პასუხობს გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის ადგილობრივ და საერთაშორისო სტანდარტებს. შესაბამისად, აუცილებელად მიგვაჩნია, ეს პრობლემები საკანონმდებლო ცვლილებების გზით აღმოიფხვრას, რათა პრაქტიკაში თავიდან იქნეს აცილებული გამოხატვის თავისუფლების გაუმართლებელი შეზღუდვა.

სწორედ ამ მიზნით, IDFI-მ წარმოადგინა დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ პროექტი, რომლის მიზანიც აღმოჩენილი ხარვეზების გასწორება და კანონმდებლობის დონეზე გამოხატვის თავისუფლების დაცვის სტანდარტების ამაღლებაა.
[იხილეთ მეტი]

კოალიცია უარს ამბობს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საქართველოდან ასარჩევი მოსამართლეობის კანდიდატთა შერჩევის სამთავრობო კომისიის მუშაობაში მონაწილეობის მიღებაზე

კოალიცია
დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის

2017 წლის 17 აგვისტოს თქვენი #4920 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ „კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის" არ აპირებს მონაწილეობა მიიღოს ადამიანის უფლებათა სასამართლოში მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევი კომისიის საქმიანობაში.

კოალიციამ აღნიშნულ საკითხზე ჯერ კიდევ 2017 წლის 28 ივლისს გაავრცელა საჯარო განცხადება, რომლითაც მოვუწოდებდით საქართველოს მთავრობას შეეცვალა ადამიანის უფლებათა სასამართლოში მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევი კომისიის დაკომპლექტების წესი და პროცედურები, გამომდინარე იქიდან, რომ მსგავსი შემადგენლობით და პროცედურით კომისიამ ორჯერ ვერ გაართვა თავი დაკისრებულ მოვალეობას - მკაცრი, სამართლიანი და გამჭვირვალე შერჩევის პროცედურის შედეგად შეედგინა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა ისეთი სია, რომელიც ევროპის საბჭოს რეალური არჩევანის საშუალებას მისცემდა. საჯარო განცხადებასთან ერთად, კომისიაში კოალიციის წარმომადგენელმა კომისიას ელ-ფოსტის საშუალებით იმავე დღეს აცნობა კოალიციის აღნიშნული პოზიცია. სამწუხაროდ აღნიშნული პოზიცია სახელმწიფოს მიერ გაზიარებული არ იქნა.

იხილეთ მეტი